



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ ”

საერთო დანიშნულების
სახელმწიფო მომსახურების
სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

A handwritten signature in blue ink, appearing to read 'ფ. შენგელია'.

ფრიდონ შენგელია

„---17---“ --01-- 2017 წელი

ეგზ. N1

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ევროპის
ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ს საორგანიზაციო
კომიტეტი“-ს
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N 1/36

2011-2016 წლები

შინაარსი

გამოყენებული შემოკლებანი.....	3
შემაჯამებელი მიმოხილვა	3
შესავალი.....	4
აუდიტის მიზანი	4
აუდიტის ობიექტის პასუხისმგებლობა	5
აუდიტორის პასუხისმგებლობა	5
ორგანიზაციის მოკლე მიმოხილვა.....	6
საორგანიზაციო კომიტეტის ბიუჯეტი	7
მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი.....	9
1. ლიკვიდაციის პროცესი.....	9
2. დოკუმენტების სისტემატიზაცია.....	11
3. კომუნიკაცია აუდიტის ობიექტთან.....	11
4. აღრიცხვა-ანგარიშგება	12
5. არაფინანსური აქტივები.....	15
6. მივლინება.....	18
7. საორგანიზაციო კომიტეტის მიერ განხორციელებული შესყიდვები	22
მთავრობის განკარგულების საშუალებით განხორციელებული გამარტივებული შესყიდვები.....	23
მიმწოდებლების შერჩევა გამარტივებული შესყიდვის დროს	25
სამშენებლო სამუშაოების შესრულების და ანგარიშსწორების მდგომარეობა	27
მონეტარული ზღვრების დარღვევით გაფორმებული გამარტივებული შესყიდვები	28
ხელშეკრულების შესრულების გარანტიისა და დაზღვევის მოთხოვნების უგულებელყოფა.....	29
მოქმედ ნორმატიულ აქტებთან გამოვლენილი შეუსაბამოებები	30
უარი მოსაზრების გამოთქმაზე	31

გამოყენებული შემოკლებანი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ს საორგანიზაციო კომიტეტი“-ს საორგანიზაციო კომიტეტი.

შემაჯამებელი მიმოხილვა

1. ვერ იქნა წარმოდგენილი საორგანიზაციო კომიტეტის 2011-2015 წლების შესაბამისი პერიოდების ფინანსური ანგარიშგება, ბალანსები და მასთან დაკავშირებული სხვა ანგარიშები.
2. ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებები 2011-დან 2015 წლამდე პერიოდში აქტივების ინვენტარიზაციის ჩატარების თაობაზე. ორგანიზაციაში არ არსებობდა სასაწყობო აღრიცხვის სისტემა, შესყიდული ფასეულობების გადაცემა ხდებოდა პასუხისმგებელი პირების მითითების გარეშე. 2016 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციით გამოვლინდა როგორც ზედმეტობა, ასევე 4 ათასზე მეტი დასახელების აქტივების დანაკლისი.
3. გადაუდებელი აუცილობლების არსებობასა და სამუშაოების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საჭიროებაზე ვერ იქნა წარმოდგენილი საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება.
4. სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას შუალედური ანგარიშსწორება, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, წარმოებდა ხელშეკრულებით მოთხოვნილი შუალედური ფორმა N2-ისა და მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გარეშე მხოლოდ ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
5. ადგილი ჰქონდა კანონით დადგენილი მონეტარული ზღვრების დაუცველად ხელშეკრულებების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმების შემთხვევებს.
6. ადგილი ჰქონდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაუცველად ხელშეკრულებების გაფორმებას საორგანიზაციო კომიტეტის თანამშრომლებთან, რომლებიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად წარმოადგენდნენ ურთიერთდამოკიდებულ პირებს.

7. 2011-2012 წლების სამივლინებო ხარჯებზე ვერ იქნა წარმოდგენილი მივლინების ბრძანებები და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაცია.
8. ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებისას, უმეტეს შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა ბინის დაქირავების ხარჯების ანაზღაურების ნორმების დარღვევის ფაქტებს. მივლინების ბრძანებებში არ იყო ინფორმაცია თუ რამდენი დღის მიხედვით ხდებოდა სასტუმროს ხარჯის ანაზღაურება. ზოგიერთ შემთხვევაში ბრძანებით არ იკვეთება მივლინების მიზანი და ის ზოგადი ხასიათისაა. ვერ იქნა წარმოდგენილი ღონისძიებებზე ოფიციალური მოწვევები და ინფორმაცია მივლინებით მიღწეულ შედეგებზე.
9. საორგანიზაციო კომიტეტის ფუნქციონირების საჭიროების არარსებობის მიუხედავად, შეუძლებელია დადგინდეს მისი ლიკვიდაციის სავარაუდო ვადა.

შესავალი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ს საორგანიზაციო კომიტეტი“-ს მიერ 2011-2016 წლებში განხორციელებული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის მიზანი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისი 2015-ს საორგანიზაციო კომიტეტი“-ს 2011-2016 წლებში გაწეული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტის მიზნებია:

- დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით, იმის შესახებ თუ რამდენად შესაბამისობაშია საორგანიზაციო კომიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

- აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის, აუდიტის მასშტაბიდან გამომდინარე, ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნების და სადაც შესაფერისია - რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის ობიექტის პასუხისმგებლობა

საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომ გამოირიცხოს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეული არსებითი კანონშეუსაბამოებები.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია, აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას, განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან. აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ საორგანიზაციო კომიტეტის 2011-2016 წლების საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებით შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოებების რისკებზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით.

ორგანიზაციის მოკლე მიმოხილვა

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისის 2015-ს საორგანიზაციო კომიტეტი“ დაფუძნებულია ქალაქ თბილისის მთავრობის 2011 წლის 30 მაისის N 13.50.549 დადგენილებით. ამავე დადგენილებით დამტკიცებულია კომიტეტის წესდება, რომლის თანახმად კომიტეტი ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენდა 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ჩატარების ორგანიზება.

ქალაქ თბილისის მთავრობის 2013 წლის 19 სექტემბრის N24.25.1101 დადგენილებით შეიცვალა კომიტეტის სტრუქტურა, დამტკიცდა წესდების ახალი რედაქცია და დაინიშნა თავმჯდომარე¹. ახალი წესდების² შესაბამისად, კომიტეტი უფლებამოსილი ორგანოს მიერ შეიქმნა დადგენილი ვადით (ფესტივალის ჩატარების თარიღი). კომიტეტის საქმიანობის გაგრძელება შესაძლებელი იყო გონივრული ვადით, მაგრამ არაუმეტეს 2015 წლის 31 დეკემბრის.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 25 ნოემბრის N47.20.1349 განკარგულებით განხორციელებულია კომიტეტის თავმჯდომარის ცვლილება³. ახალი თავმჯდომარე თანამდებობაზე დანიშნულია კომიტეტის ლიკვიდაციის პროცესის დასრულებამდე. 2015 წლის 23 დეკემბრის N51.36.1477 განკარგულებით კი კომიტეტის საქმიანობის ვადად განსაზღვრულია 2016 წლის 1 აპრილი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 17 თებერვლის N07.02.135 განკარგულებით კვლავ განხორციელებულია თავმჯდომარის ცვლილება⁴. 2016 წლის 2 მარტის N09.23.205 განკარგულებით დამტკიცებულია ახალი სტრუქტურა, საშტატო ნუსხა და სახელფასო ფონდი. 2016 წლის 24 თებერვლის N08.29.176 განკარგულებით კომიტეტის საქმიანობის ვადა განსაზღვრულია არაუმეტეს 2016 წლის 1 ივლისი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 29 ივნისის N25.15.550 განკარგულებით თანამდებობიდან გათავისუფლებულია საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე და გაუქმებულია არსებული სტრუქტურა და საშტატო ნუსხა.

¹ ალექსი ახვლედიანი

² მუხლი 1. პუნქტი 9.

³ პირადი განცხადების საფუძველზე თანამდებობიდან გათავისუფლებული ალექსი ახვლედიანის ნაცვლად დაინიშნა ირაკლი გაბისონია.

⁴ პირადი განცხადების საფუძველზე თანამდებობიდან გათავისუფლებული ირაკლი გაბისონიას ნაცვლად დაინიშნა მურად წარსია.

საორგანიზაციო კომიტეტის ბიუჯეტი

წესდების შესაბამისად, კომიტეტის დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა: დამფუძნებლის შენატანები/შემოწირულობანი; მიზნობრივი სახელმწიფო სუბსიდია; ეოკ-დან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული დახმარებები და გრანტები; სხვადასხვა იურიდიული და კერძო პირებისაგან მიღებული შემოწირულობანი; ჩუქებით ან სხვა ფორმით მიღებული ქონება; საგამომცემლო საქმიანობიდან და კომიტეტის ემბლემის გამოყენების ლიცენზიისგან მიღებული შემოსავალი; სხვა კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც ნებადართულია საქართველოს კანონმდებლობით და არ ეწინააღმდეგება ოლიმპიურ ქარტიას და კომიტეტის მიზნებს.

2012 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 ივლისამდე პერიოდში კომიტეტის მიერ სხვადასხვა სპონსორისგან მიღებულია 352.00 ათასი ლარი, კომერციულ ბანკში⁵ დეპოზიტზე განთავსებულ თანხებზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი-457.66 ათასი ლარი, ფესტივალში მონაწილე ქვეყნების ეროვნული ოლიმპიური კომიტეტებისგან⁶-811.75 ათასი ლარი.

ინფორმაცია 2012-2016 წლებში ქალაქ თბილისის მერიის მიერ გამოყოფილი სახსრების შესახებ ასახულია ცხრილში⁷ N1:

ცხრილი N1						
2012	2013	2014	2015		2016	
			გეგმა	ფაქტი	გეგმა	ფაქტი
762,602.00	15,399,999.00	10,000,000.00	20,802,100.00	20,669,953.00	78,117.00	63,154.00

გარდა აღნიშნულისა 2015 წელს საქართველოს მთავრობის სარეზერვო და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდებიდან გამოყოფილია 53,460,453.00 ლარი.

⁵ ტაო პრივატ ბანკი

⁶ დეპოზიტი შესაძლო ზიანის კომპენსაციისათვის, სასტუმროში განთავსების და სხვა ხარჯებისათვის

⁷ ფესტივალის მოსმზადებელი ღონისძიებები (კოდი 0807)

N	განკარგულების N	თანხა	დანიშნულება	შენიშვნა
1	№605 20.03.2015	30,000,000	სამშენებლო, სარემონტო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების, შესაბამისი აღჭურვისა და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების დასაფინანსებლად და გახსნა-დახურვის ოფიციალური ცერემონიალის ნაწილობრივი, ფესტივალის საორგანიზაციო ადმინისტრაციული ხარჯების, ფესტივალის პოპულარიზაცია/რეკლამირების, ჩამოსული სპორტსმენებისა და დელეგატების ტრანსპორტირების, განთავსების, კვების, სამედიცინო და სხვა დანარჩენი ხარჯების დაფინანსებისათვის	შეტანილია ცვლილება №690 განკარგულებით 2015 წლის 3 აპრილი, თავდაპირველად იყო 10 მლნ
2	№1181* 04.06.2015	9,317,704	ოლიმპიური ფესტივალის საორგანიზაციო, ადმინისტრაციული, ფესტივალის პოპულარიზაცია/რეკლამირების, ჩამოსული სპორტსმენების, დელეგატებისა და მოწვეული სტუმრების ტრანსპორტირების, განთავსების, კვების, სამედიცინო და სხვა დანარჩენი ხარჯების დაფინანსება და სხვადასხვა ინფრასტრუქტურის სამშენებლო, სარემონტო/სარეკონსტრუქციო და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოების, სპორტული და სხვა ინვენტარისა და შესაბამისი აღჭურვილობის დასაფინანსებლად	სულ გამოიყო 13 მლნ მ.შ. 3 682 296 ლარი თბილისში მძლეოსნობის არენის მშენებლობისა და აღჭურვის დასაფინანსებლად, საქართველოს მძლეოსნობის ეროვნული ფედერაციისათვის გადასაცემად
3	№1434 07.07.2015	963,000	„თბილისი 2015“-ის პოპულარიზაცია-რეკლამირებისა და ქალაქ თბილისის გაფორმებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება	
4	№1590 20.07.2015	6,118,301	„თბილისი 2015“-ის უცხოურ არხებზე გაშუქებისა და სარეკლამო კამპანიის წარმართვასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება	შეტანილია ცვლილება №2003 განკარგულებით 2015 წლის 15 სექტემბერი, თავდაპირველად იყო 3 მლნ
5	№1631 24.07.2015	1,062,000	„თბილისი 2015“-ის შეუფერხებლად ჩატარება	
6	№2059 24.09.2015	5,999,448	„თბილისი 2015“-ის დასრულებისა და შემდგომი პროცედურების განსახორციელებლად საჭირო ხარჯების დაფინანსება	
*-განკარგულებით 7810000 ლარი გამოიყო რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, ხოლო 5190000 მთავრობის სარეზერვო ფონდიდან				

ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებით⁸, 2011-2016 წლებში საორგანიზაციო კომიტეტის მიერ ძირითადად გაწეულია სპორტული ობიექტების მშენებლობის, უძრავი ქონების კაპიტალური რემონტის, არაფინანსური აქტივების შეძენის, რეკლამისა და მარკეტინგის, შრომის ანაზღაურების, წარმომადგენლობითი და სამივლინებო ხარჯები.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

1. ლიკვიდაციის პროცესი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით⁹, ქალაქის მთავრობის 2015 წლის 13 ოქტომბრის N41.23.1199 განკარგულებით გამოცხადებულია საორგანიზაციო კომიტეტის ლიკვიდაციის პროცესი და დანიშნულია ლიკვიდატორი¹⁰.

ლიკვიდაციის პროცესი ვერ დაიწყო, რადგან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მხოლოდ დამფუძნებლის გადაწყვეტილების მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ, რაც არ განხორციელებულა იმ მიზეზით, რომ საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციის მოთხოვნის წარდგენასთან ერთად მარეგისტრირებელ ორგანოში წარდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია ყველა ცნობილ კრედიტორზე, რომელშიც მითითებული უნდა იყოს კრედიტორების დაკმაყოფილების ვადები¹¹. ლიკვიდატორის განმარტებით ვერ მოხერხდა წინა მენეჯმენტისაგან დაზუსტებული კრედიტორების სიის და ვალდებულებების დაფარვის ვადების შესახებ ინფორმაციის მიღება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 17 თებერვლის N07.03.136 განკარგულებით განხორციელებულია ლიკვიდატორის ცვლილება¹². ახალი მენეჯმენტის მიერ განხორციელებულია კრედიტორთა სიის და მათ მიმართ დავალიანების ოდენობის დაზუსტება. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 23 მარტის N11.16.255 განკარგულებით დაფარულია დავალიანება 286,894 ლარის ოდენობით.

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ/ლიკვიდატორმა 2016 წლის 28 ივნისს წერილობით მიმართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და

⁸ აღრიცხვა-ანგარიშგებასთან დაკავშირებული ხარვეზები იხილეთ შესაბამის ქვეთავში.

⁹ 2015 წლის 2 ოქტომბრის N361 განკარგულება

¹⁰ ირაკლი გაბისონია

¹¹ მე-14 მუხლის 2,3 და მე-4 პუნქტები

¹² ირაკლი გაბისონიას ნაცვლად დაინიშნა მურად ნარსია.

მონიტორინგის საქალაქო სამსახურს¹³ საორგანიზაციო კომიტეტის სალიკვიდაციო საქმიანობის განხორციელების დროს გამოვლენილი დარღვევების შესახებ. შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის მიერ მასალები შემდგომი რეაგირების მიზნით გადაგზავნილია მთავარ პროკურატურაში¹⁴.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 29 ივნისის N25.15.550 განკარგულებით კვლავ განხორციელებულია ლიკვიდატორის ცვლილება¹⁵, ხოლო კომიტეტის საქმიანობის ვადა გაგრძელებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი რეგისტრაციის გაუქმებამდე.

მიუხედავად იმისა, რომ ოლიმპიადის შემდეგ აღარ არსებობს საორგანიზაციო კომიტეტის ფუნქციონირების საჭიროება, შეუძლებელია დადგინდეს მისი ლიკვიდაციის სავარაუდო ვადა შემდეგი გარემოებებიდან გამომდინარე:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინების¹⁶ შესაბამისად დაკმაყოფილებულია კომიტეტის ყოფილ თანამშრომელთა შუამდგომლობა მათი სარჩელის (კომიტეტის მიერ შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება-ხელფასის გადახდა) უზრუნველყოფის შესახებ და საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე ყადაღა დადებულია კომიტეტის ყველა საბანკო ანგარიშზე არსებულ ფულად სახსრებზე მოსარჩელეთა სარჩელის ფასის ოდენობით, კერძოდ 13,614 ევროსა და 57,200 ლარის ფარგლებში. ამავე განჩინების თანახმად, კომიტეტის ლიკვიდატორს აღნიშნულ საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე აეკრძალა ორგანიზაციის ლიკვიდაციის პროცესის დასრულება და მისი რეგისტრაცია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“.
- კომიტეტის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ ჩატარებული კამერალური შემოწმების შედეგად¹⁷ კომიტეტს ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით გადასახადად დაკისრებული აქვს 10 100 655 ლარი, მათ შორის: ძირითადი გადასახადი 6 727 580 ლარი, ჯარიმა 3 373 075 ლარი. გადასახადის თანხის ძირითადი ნაწილი დარიცხულია დღგ-ის ნაწილში. ვინაიდან 2014 წელს კომიტეტი არ ეწეოდა ეკონომიკურ საქმიანობას, მას არ შეეძლო ადგილობრივ ბაზარზე შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე და

¹³ N229741/07 და N237020/08

¹⁴ №38/198419, 28.07.2016

¹⁵ მურად ნარსიას ნაცვლად დაინიშნა მიხეილ კორშია

¹⁶ 10.06.2016

¹⁷ შესამოწმებელი პერიოდი: 01.01.2012-23.05.2016, შემოწმების დაწყება-24.05.2016, დასრულება-24.06.2016

იმპორტირებულ საქონელზე გადახდილი და ჩათვლილი დღგ-ს გამოყენება დასაბეგრ ოპერაციებში.

2. დოკუმენტების სისტემატიზაცია

2015 წლიდან საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად საორგანიზაციო კომიტეტზე ვრცელდებოდა „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით გათვალისწინებული რეგულაციები. ამასთან, სამეურნეო ოპერაციების დოკუმენტური გაფორმებისა და მათი საბუღალტრო რეგისტრებში ასახვის მიზნით, საორგანიზაციო კომიტეტზე ვრცელდება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის №70 ბრძანებულების მე-7 და მე-8 მუხლის მოთხოვნები, რომელთა მიხედვით ორგანიზაციის დოკუმენტები, შემოწმების და მიღების შემდეგ, სისტემატიზირდება და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აისახება თითოეული ანგარიშისთვის გახსნილ მემორიალურ ორდერებში. თვის გასვლის შემდეგ ყველა მემორიალური ორდერი შესაბამის დოკუმენტებთან ერთად დალაგდება ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და აიკინძება. ყდაზე დაეწერება: ორგანიზაციის სრული დასახელება, საანგარიშგებო პერიოდი (წელი და თვე), მემორიალური ორდერების საწყისი და საბოლოო ნომრები.

აუდიტორული პროცედურების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით დროულად და სათანადოდ ჩატარებისთვის შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს ის გარემოება, რომ საორგანიზაციო კომიტეტის მიერ სამეურნეო ოპერაციებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის სისტემატიზაცია არ განხორციელებულა მემორიალური ორდერების შექმნისთვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით.

3. კომუნიკაცია აუდიტის ობიექტთან

აუდიტის ჯგუფის მიერ, ობიექტის შესწავლის და სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპზე გამოვლენილი რისკების შესაბამისად, აუდიტის საწყის ეტაპზე შედგა ზეპირი საუბარი საორგანიზაციო კომიტეტის რამდენიმე ყოფილ თანამშრომელთან, რომლებიც ორგანიზაციაში დასაქმებული იყვნენ ოლიმპიადის მიმდინარეობის პერიოდში, საორგანიზაციო კომიტეტში მენეჯმენტის შეცვლამდე. საფინანსო

სამსახურის უფროსთან და მთავარ ბუღალტერთან შეხვედრისას, მივიღეთ მოკლე ინფორმაცია მათი სამსახურებრივი მოვალეობების, თანამდებობაზე მუშაობის პერიოდში განხორციელებული საქმიანობებისა და სხვადასხვა აქტუალური საკითხის შესახებ, რომლებიც უკავშირდებოდა ორგანიზაციაში დანერგილ კონტროლის მექანიზმებს და ოლიმპიადის დამთავრების შემდგომ წამოჭრილ პრობლემებს¹⁸. მათ ეთხოვათ აღნიშნულ საკითხებზე წერილობითი სახით წარმოედგინათ განმარტება და ასევე საჭიროებისამებრ, აუდიტის მიმდინარეობისას ჩვენს შორის შემდგარიყო კომუნიკაცია. სატელეფონო საუბრებისას გამოთქმული დაპირებების მიუხედავად, მათ მიერ არ მომხდარა წერილობითი ფორმით ახსნა-განმარტების წარმოდგენა, ხოლო შემდგომში მათთან დაკავშირების მიზნით ჩვენი არაერთი მცდელობა (სატელეფონო ზარი, მოკლე ტექსტური შეტყობინებები) უშედეგო აღმოჩნდა.

აუდიტის ჯგუფსა და საორგანიზაციო კომიტეტის ზოგიერთ თანამშრომელს შორის, რომლებიც 2016 წლამდე პერიოდში პასუხისმგებელნი იყვნენ მათზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე, ვერ შედგა სრულყოფილი კომუნიკაცია, მაშინ როდესაც უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების შესაბამისად აუდიტორებს და აუდირებული ობიექტის შესაბამის პასუხისმგებელ პირებს შორის კომუნიკაცია აუცილებელი წინაპირობაა იმისათვის, რათა აუდიტორებს მიეწოდოს შესაბამისი მტკიცებულება, რომელიც უზრუნველყოფს აუდიტორების მიერ ამა თუ იმ ოპერაციის ან მოვლენის სწორად აღქმას და „სალი აზრის“ ჩამოყალიბებას. შესაბამისად, არასათანადო კომუნიკაციას აუდიტის ჯგუფი განიხილავს, როგორც მასშტაბის შეზღუდვის ერთ-ერთ გარემოებას.

4. აღრიცხვა-ანგარიშება

საორგანიზაციო კომიტეტის მიერ 2016 წლამდე ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებდა ელექტრონულად, FMG საბუღალტრო პროგრამაში. 2016 წლის თებერვალში დანიშნული მენეჯმენტის განმარტებით ირკვევა შემდეგი: „FMG ელექტრონული ბაზა მოიცავდა ინფორმაციას მხოლოდ 2015 წლის 31 ივლისის მდგომარეობით, ხოლო შემდგომ პერიოდზე აღრიცხვა არ იყო ნაწარმოები. ამ ბაზის მონაცემების ანალიზი ბევრ კითხვის ნიშნებს წარმოშობდა, მათ შორის: მოთხოვნებზე ფიქსირდებოდა საკრედიტო ნაშთი, ხოლო ვალდებულებებზე სადებეტო ნაშთი. 2015

¹⁸ აღნიშნული აუდიტის ჯგუფისთვის ცნობილი გახდა, 2016 წლის თებერვალში დანიშნული საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის ანგარიშიდან.

წლის დეკემბერში მოქმედ მენეჯმენტისთვის წინა პერიოდის ხელმძღვანელობისგან სხვადასხვა დოკუმენტი გადმოცემულია დაურეესტრებული, არასისტემატიზირებული, არაიდენტიფიცირებული ფორმით, რომლის დამუშავების შედეგად აღმოჩნდა, რომ საფინანსო სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელის მიერ გადმოცემული მიმდინარე ვალდებულებების რეესტრის მონაცემები სრულად განსხვავებული იყო ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებისგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, მენეჯმენტის მიერ მიზანშეწონილად ჩაითვალა:

- შერჩევით გადამოწმებულიყო გატარებული ოპერაციების შესაბამისობა პირველად დოკუმენტაციასთან.
- დადგენილიყო საორგანიზაციო კომიტეტის კუთვნილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ნუსხა და რეალური ნაშთი საბუღალტრო ჩანაწერებში მათი იდენტიფიცირების და დისლოკაციის ადგილების დადგენის მიზნით.

ბუღალტრული ბაზის აღდგენის კვალობაზე გამოიკვეთა შეუსაბამოები: კრედიტორულ დავალიანებებში არ იყო ნაწარმოები 28 ორგანიზაციის ბარათი, დებიტორულ დავალიანებებში არ იყო ნაწარმოები 44 ორგანიზაციის ბარათი, არ იყო აღრიცხული სასაქონლო-მატერიალური მარაგებისა და ძირითადი საშუალებების ჩამოწერა კატეგორიებისა და ფაქტობრივი გამოყენების (მათ შორის დროებით სარგებლობაში არსებული) მიხედვით“.

ახალი მენეჯმენტის მიერ ბუღალტრული აღრიცხვა განხორციელებულია Superfin პროგრამაში, რომელშიც აისახა როგორც 2015 წლამდე, ასევე შემდეგ პერიოდში განხორციელებული ოპერაციები. აუდიტის ჯგუფისთვის წარმოდგენილი ბუღალტრული ბაზის ანალიზით ირკვევა, რომ აღრიცხვა არ არის ნაწარმოები ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგიით გათვალისწინებული განსაზღვრებების, კრიტერიუმების შესაბამისად და შეიცავს არსებით შეცდომებს, ასე მაგალითად: ხარჯის ანგარიშები 7491, 7340, 7452/0024 თანხით 943,728 ლარი ნაცვლად კრედიტის ანგარიშისა გადახურულია დებეტის ანგარიშზე და შესაბამისად როგორც ხარჯის, ასევე კაპიტალის ანგარიშები არასწორი თანხით არის წარმოდგენილი. შრომის ანაზღაურების ანგარიში 7410 ზოგიერთ შემთხვევაში მოიცავს სამივლინებო ხარჯებს და მისი იდენტიფიცირება შესაძლებელია მხოლოდ პირველად დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, სხვა საერთო ხარჯებზე (7490) რიგ შემთხვევაში გატარებულია ქვეყნის გარეთ მივლინების ფარგლებში შესყიდული მგზავრობის ღირებულება და სხვა, ხოლო რეკლამის ხარჯებს (7310) მიკუთვნებულია ისეთი ოპერაციები, რომლებიც თავისი შინაარსით არ წარმოადგენენ სარეკლამო მიზნით გაწეულ ხარჯს.

საორგანიზაციო კომიტეტის ბალანსზე 2016 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით დაუმთავრებელი მშენებლობის სახით ირიცხებოდა 35,349,585 ლარის ღირებულების აქტივები, მათ შორის ახალი ობიექტების მშენებლობა 23,812,553 ლარით, მაშინ როდესაც ეს აქტივები მოცემული თარიღისთვის არ წარმოადგენდა ორგანიზაციის საკუთრებას. მაგალითად: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 25 ნოემბრის N47.06.1335 განკარგულებით სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემული აქვს ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „თბილისი 2015“-ის ფარგლებში აშენებული და #01.72.14.14.009.331, #01.72.14.009.333, #01.72.14.009.334 #01.72.14.009.319, #01.14.14.005.219 საკადასტრო ერთეულების ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ქონება.

საორგანიზაციო კომიტეტის ბუღალტრული ბაზაში არასრულად არის აღრიცხული ბარტერული ოპერაციები. ზოგიერთი ბარტერული ოპერაციის განხორციელების შესახებ ინფორმაცია აუდიტის ჯგუფისთვის ცნობილი გახდა მხოლოდ ორგანიზაციის პირველადი დოკუმენტაციის მიმოხილვისას, კერძოდ:

- საორგანიზაციო კომიტეტის მიერ ქ. თბილისის მერიის განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წინაშე წარდგენილ 2014 წლის ანგარიშში (ანგარიშით მიწოდებული იყო ინფორმაცია ორგანიზაციული მართვის შესახებ) ოლიმპიადის გენერალურ სპონსორად დაფიქსირებულია შპს „ჯინო პარკი“, თუმცა ბუღალტრული ბაზა არ მოიცავდა ინფორმაციას სასპონსორო ვალდებულებების აღება-შესრულების შესახებ. აუდიტის ჯგუფის მიერ საორგანიზაციო კომიტეტში ვერ იქნა მოძიებული მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება და მომსახურების გაწევის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაცია. შედეგად, მხოლოდ ალტერნატიული აუდიტორული პროცედურების განხორციელების საშუალებით, შპს „ჯინო პარკი“-ს მიერ წარმოდგენილი იქნა ხელშეკრულება, რომლის თანახმად სპონსორი საორგანიზაციო კომიტეტს სარეკლამო მომსახურების სანაცვლოდ გაუწევდა ჯამურად 140,268 ლარის მომსახურებას¹⁹. შპს „ჯინო-პარკი“-ს მიერ წარმოდგენილი იქნა ცნობა²⁰, რომლის თანახმადაც 2014-2015 წლებში მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 33,127 ლარი, თუმცა მისი დადასტურება (მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება) საორგანიზაციო კომიტეტის მიერ არ მომხდარა.

¹⁹ 2014 წლის 30 ივლისიდან 2015 წლის 1 აგვისტომდე ჯინო ფერედაისში ოლიმპიადის მოხალისეებისთვის სხვადასხვა ტიპის პაკეტის მიწოდება.

²⁰ აქტი გაწეული მომსახურების შესახებ, 05.12.2016.

- აუდიტის მიმდინარეობისას აუდიტის ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი გახდა შპს „არენა“-ს 2015 წლის 8 აგვისტოს N57 წერილი, რომლითაც მოთხოვნილი იყო შპს „არენა“-ს (ყოფილი შპს „პეგასი“) საკუთრებაში არსებულ სპორტულ კომპლექსებში უსასყიდლოდ გაწეული მომსახურებების დადასტურება. აღნიშნულ მიმწოდებელთან განხორციელებული ოპერაციები ორგანიზაციის მიერ არ არის აღრიცხული.

აუდიტის ჯგუფისთვის ვერ იქნა წარმოდგენილი საორგანიზაციო კომიტეტის 2011- 2015 წლების შესაბამისი პერიოდების ფინანსური ანგარიშგება, ბალანსები და მასთან დაკავშირებული სხვა ანგარიშები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აქტივებზე, ვალდებულებებზე, შემოსავლებზე და ხარჯებზე, ასევე ოპერაციების და სხვა მოვლენების კაპიტალზე გავლენის ზუსტი შეფასების წარდენის კუთხით, აუდიტის ჯგუფისთვის წარმოდგენილი ინფორმაცია არ უზრუნველყოფს საიმედოობის, შესაბამისობის მაღალ ხარისხს და შესაძარისობას აუდირებულ პერიოდში ორგანიზაციის საქმიანობის შედეგების შედარებისა და შეფასების მიზნით.

5. არაფინანსური აქტივები

საორგანიზაციო კომიტეტის მიერ 2011 წლიდან 2016 წლის ივლისამდე პერიოდში შეძენილია 30,232 მლნ ლარის ღირებულების არაფინანსური აქტივები²¹. ინფორმაცია²² არაფინანსური აქტივების შემოსვლისა და გასვლის შესახებ ასახულია ცხრილში N2.

ცხრილი N2

დასახელება	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი
საქონელი	16,348,470	1,742,402	14,606,068
საწვავი	274,668	274,668	-
იმპორტირებული აქტივები	13,571,902	787	13,571,115
ოფისის აღჭურვილობა	6,399	434	5,965
ავეჯი და სხვა ინვენტარი	30,400	-	30,400
სულ	30,231,839	2,018,290	28,213,549

აუდიტორული პროცედურების შედეგად გამოვლინდა მნიშვნელოვანი ხარვეზები აქტივების მართვის, მათ შორის მოვლა-შენახვის კუთხით, კერძოდ: ორგანიზაციაში არ არსებობდა სასაწყობე აღრიცხვის სისტემა, შესყიდული ფასეულობების გადამხდებობა პასუხისმგებელი პირების მითითების გარეშე. აუდიტის ჯგუფისთვის ვერ

²¹ აღნიშნული თანხა არ მოიცავს არამატერიალური აქტივების და დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებას.

²² ინფორმაცია წარმოდგენილია მხოლოდ ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებზე დაყრდნობით.

იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებები 2012-2015 წლებში აქტივების ინვენტარიზაციის ჩატარების თაობაზე.

ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებით 2011 წლიდან 2016 წლამდე პერიოდში ორგანიზაციიდან გასულია (უმეტესწილად უსასყიდლოდ გადაცემა, უკან დაბრუნება და სხვა) 2,018 მლნ ლარის ღირებულების აქტივები. 2016 წლის თებერვალში დანიშნული სალიკვიდაციო კომიტეტის თანამშრომელთა მიერ განხორციელებულია ინვენტარიზაცია, რომელიც უფრო აქტივების აღწერის ხასიათს ატარებდა. ჩატარებული სამუშაოების შედეგად, გამოვლინდა როგორც ზედმეტობა, ასევე 4 ათასზე მეტი დასახელების აქტივების დანაკლისი, რომელსაც მენეჯმენტი ხსნის შემდეგი გარემოებით: „2016 წლამდე მოქმედ მენეჯმენტს მოუწესრიგებელი ჰქონდა ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება, მათ შორის არასწორად, ხარვეზებით იყო შეყვანილი ფასეულობის მაიდენტიფიცირებელი რეკვიზიტები, რის გამოც შეუძლებელი გახდა ფაქტობრივად არსებული აქტივების ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებთან შედარება. დანაკლისის სახით აგრეთვე გამოვლინდა ისეთი საქონელი, რომლებიც თავისი შინაარსისა და დანიშნულების მიხედვით (მაგ: კვების პროდუქტები, სარეკლამო მასალები, მაისურები და ა.შ) გახარჯული უნდა ყოფილიყო ოლიმპიური თამაშების მიმდინარეობისას, მაგრამ უცნობი იყო მათი ჩამოწერის დოკუმენტალური (იურიდიული) საფუძველი იმის გამო, რომ არ წარმოებდა ჩამოწერის აქტები ან არსებობის შემთხვევაში არ მოხდა ჩვენზე გადმოცემა. ასევე ინვენტარიზაციისთვის საჭირო სპეციალიზებული ცოდნის არქონის გამო ვერ მოხდა აღწერილი საქონლის ნაწილის იდენტიფიცირება, რამაც მთლიანობაში ინვენტარიზაციის შედეგები გახადა სავარაუდო“.

ინფორმაცია ინვენტარიზაციის შედეგად დანაკლისის სახით გამოვლენილი ზოგიერთი არაფინანსური აქტივის შესახებ მოყვანილია ცხრილში N3.

დასახელება	ზომის ერთეული	ბუღალტრული მონაცემებით			ინვენტარიზაციის შედეგად აღრიცხული		
		რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ფასი	ფაქტობრივად აღრიცხული	დანაკლისი	დანაკლისის თანხა
ლეპტოპი Notebook/ Lenovo/ Ideapad/ Ideapad B5070. 15.6" HD LED. i3 4030U 1.9Ghz. 4GB. 500GB. Intel HD Graphics. DVD-RW. BT. Win 8.1 ENG/ მაუსი	ცალი	28	1,090	30,520	0	28	30,520
პორტაბელური კომპიუტერი (ლეპტოპი) Lenovo Ideapad S510	ცალი	12	1,111	13,332	1	11	12,221
პრინტერი - ფერადი. მულტიფუნქციური Xerox Workcentre 7720	ცალი	3	13,481	40,442	0	3	40,442
ტელევიზორი ლედ სერია - PHILIPS - 40PFH4309	ცალი	40	738	29,520	8	32	23,616
ველოსიპედი	ცალი	6	20,211	121,267	5	1	20,211
ავტომობილზე ველოსიპედების სამაგრი	ცალი	3	3,573	10,718	0	3	10,718
ბახმარო პეტი 0.5ლ წყაროს წყალი	ცალი	543,668	0.30	163,081	0	543,668	163,081

აღსანიშნავია, რომ აუდიტორული კომპანია შპს „KPMG Georgia“ ოლიმპიური კომიტეტის საგადასახადო მიმოხილვის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოს ანგარიშში²³ აღნიშნავს, რომ კომიტეტი ფესტივალის პოპულარიზაციის მიზნით პერმანენტულად ატარდება აქციებს, რომლის ფარგლებში ხდებოდა მაისურების, ჩანთების, ქუდების და სხვა საქონლის დარიგება, თუმცა მიღება-ჩაბარების აქტი ან სხვა გადაცემის დოკუმენტი საქონლის მიმღებთან არ არის გაფორმებული და გაურკვეველია მათი ვინაობა. აღნიშნულთან დაკავშირებით გაიცა შესაბამისი რეკომენდაცია.

საორგანიზაციო კომიტეტში შემოსული კორესპონდენციის მიმოხილვისას გამოვლინდა, რომ ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ ღონისძიებების ჩატარების ადგილებზე განთავსებული იყო საორგანიზაციო კომიტეტის კუთვნილი ქონება, თუმცა მიღება-ჩაბარების აქტები არ გაფორმებულა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სხვადასხვა სუბიექტი საორგანიზაციო კომიტეტს თხოვდა კუთვნილი ქონების გატანა-განკარგვას. ასე მაგალითად: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ლოჯისტიკის სამსახურის 2016 წლის 19 აპრილის N411/16 წერილის მიხედვით, საორგანიზაციო კომიტეტს ეცნობა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ბალანსზე არსებულ მიხეილ მესხის სტადიონზე ინახებოდა სხვადასხვა სახის მასალა, მორჩენილი ევროპის 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალიდან, მაგრამ ღონისძიების შემდეგ მიბარება მოხდა მიღება-ჩაბარების

²³ საგადასახადო მიმოხილვის პერიოდი - 2013 წლის იანვრიდან 2014 წლის სექტემბრის ჩათვლით.

აქტის გარეშე. წერილით საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს ეთხოვა შესაბამისი ჯგუფის გამოყოფა მასალების გატანის მიზნით.

საორგანიზაციო კომიტეტის ლიკვიდატორის განმარტებით, ინვენტარიზაციის აქტში მითითებულ დისკოლაციების ადგილებზე განთავსებულია საორგანიზაციო კომიტეტის მიერ შესყიდული მოძრავი ნივთები, რომელთა პასუხსაგებ შენახვაზე გაფორმებული რაიმე დოკუმენტის არსებობა მისთვის უცნობია.

არაფინანსური აქტივების მოძრაობასთან დაკავშირებით აუდიტის ჯგუფის მიერ მოპოვებული ზოგიერთი დოკუმენტაცია არ წარმოადგენს შესაფერის მტკიცებულებას, ვინაიდან დოკუმენტაცია არ არის დამოწმებული საორგანიზაციო კომიტეტის ბეჭდით და არ შეიცავს უფლებამოსილი პირის ხელმოწერას.

გამომდინარე იქედან, რომ აუდიტის ჯგუფისთვის ვერ იქნა წარმოდგენილი არაფინანსური აქტივების მოძრაობასთან (სასაქონლო-მატერიალური ფასეულების ჩამოწრა, სხვა პირზე გადაცემა, სხვადასხვა დასახელების აქტივების მონტაჟი-დემონტაჟი და სხვა ოპერაციები) დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტაცია, ინფორმაცია აქტივების ზუსტი დისლოკაციის შესახებ და ამასთან, საინვენტარიზაციო კომისიის განმარტებით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით ინვენტარიზაციის შედეგები არის სავარაუდო, აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას 2016 წლის 1 ივლისის მდგომარეობით ბუღალტრულად აღრიცხული 28,214 მლნ ლარის ღირებულების არაფინანსური აქტივების არსებობისა და სისრულის შესახებ, აგრეთვე არაფინანსური აქტივების მოძრაობასთან დაკავშირებული ოპერაციების სისრულის, სიზუსტისა და შესაბამისობის თაობაზე.

6. მივლინება

ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებით საორგანიზაციო კომიტეტის მიერ 2011-2015 წლებში მივლინების მუხლით სულ გაწეულია 1,1 მლნ ღირებულების ხარჯი, თუმცა ბუღალტრულ აღრიცხვასთან დაკავშირებული ხარვეზების გამო აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას აღნიშნული თანხის სისწორეზე.

ქვეყნის ფარგლებს გარეთ სამივლინებო ხარჯებთან დაკავშირებით აუდიტით გამოვლინდა შემდეგი ხარვეზები: 2011-2012 წლების სამივლინებო ხარჯებზე (ბუღალტრული აღრიცხვით ხარჯი შეადგენს 30,308 ლარს) არ არის წარმოდგენილი მივლინების ბრძანებები და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაცია. სადღეღამისო ხარჯების ანაზღაურებას ორგანიზაცია აწარმოებდა „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულის შესაბამისად, მაშინ

როდესაც აღნიშნული ბრძანებულებით განსაზღვრული წესები საორგანიზაციო კომიტეტზე არ ვრცელდება. უმეტეს შემთხვევაში ადგილი ჰქონდა როგორც ზემოთ ხსენებული ბრძანებულებით, აგრეთვე „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანებით განსაზღვრული დღელამეში ბინის დაქირავების ხარჯების ანაზღაურების ნორმების დარღვევის ფაქტებს, არ იყო წარმოდგენილი სასტუმროს ინვოისები და ფაქტობრივად გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მივლინების ბრძანებებში არ იყო ინფორმაცია თუ რამდენი დღის მიხედვით ხდებოდა სასტუმროს ხარჯის ანაზღაურება. ზოგიერთ შემთხვევაში ბრძანებით არ იკვეთება მივლინების მიზანი და ის ზოგადი ხასიათისაა, ღონისძიებებზე ოფიციალური მოწვევების და მივლინებით მიღწეულ შედეგებზე ინფორმაციის წარმოდგენლობის გამო, ეკონომიურობის პრინციპების გათვალისწინებით, არ დასტურდება მივლინების ფარგლებში გაწეული ხარჯების მიზანშეწონილობა. ასე მაგალითად:

1. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის 2015 წლის 25 მაისის N33/15 ბრძანებით 25 მაისიდან 26 მაისის ჩათვლით ოლიმპიური ცეცხლის ჩამოსატანად საბერძნეთში, ქ.ათენში მივლინებულია 63 პირი, რომელთა შორის 31 კომიტეტის თანამშრომელი, ხოლო 32 მოწვეული სტუმარია. მივლინების ფარგლებში შპს „ჯორჯიან ეარვეის“-სგან შესყიდულია თვითმფრინავით მომსახურება 132 მგზავრის გადაყვანის მიზნით (ბრძანებით განსაზღვრულ პირთა რაოდენობაზე 69-ით მეტი), რომლის ღირებულებამ 93,536 ლარი შეადგინა. ორგანიზაციის მიერ ანაზღაურებულია 12,734 ლარის სასტუმროს მომსახურება (სასტუმროს ინვოისით (5,063 ევრო) არ არის დაკონკრეტებული მომსახურების მიმღებ პირთა ვინაობა და რაოდენობა), ათენში მინივენებით, სედანებით და კერძო ავტობუსით სატრანსპორტო მომსახურება 11,527 ლარის (4,537 ევრო) ოდენობით. სულ გაწეულმა ხარჯმა 102,720 ლარი შეადგინა. ეკონომიურობის პრინციპებიდან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება, თუ რამდენად იყო ზემოთ ხსენებული ხარჯების გაწევა მივლინებებისას დასახული მიზნების მიღწევის ყველაზე მისაღები გზა. ამასთან, ვერ მოხერხდა ზოგიერთი მივლინებული პირის იდენტიფიცირება, რადგანაც ბრძანებაში მხოლოდ მოწვეულ სტუმრებთან მათი ნათესაური კავშირია²⁴ მითითებული.

2. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის 2015 წლის 10 ივნისის N37/15 ბრძანების მიხედვით 2015 წლის 11 ივნისიდან 13 ივნისის ჩათვლით ქ.ბაქოში

²⁴ მოწვეული სტუმრის შვილი, მოწვეული სტუმრის ქმარი.

პირველი ევროპული თამაშების „ბაქო 2015“ გახსნის ცერემონიაზე დასწრების მიზნით მივლინებულია საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, თავმჯდომარის აპარატის უფროსი და მოხალისეების დეპარტამენტის რეკრუტირების სამსახურის სპეციალისტი. მივლინების ფარგლებში ანაზღაურებულია სასტუმროს ხარჯი 4,905 ლარის (1,920 ევრო) მიხედვით, მაშინ როცა მოქმედი კანონმდებლობით დასაშვები იყო 1,703 ლარის (750 დოლარი) ოდენობით სასტუმროს ხარჯის გაწევა. სულ ზედმეტად ანაზღაურებულია 3,202 ლარი.

3. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის 2015 წლის 20 იანვრის N1/15 ბრძანებით კომიტეტის თანამშრომლები მივლინებული იყვნენ ავსტრიაში²⁵ „ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი ფორარლბერგი ლიხტენშტეინი 2015“-ზე დასწრების მიზნით. ბრძანების თანახმად, მივლინებულ თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა 19 ადამიანს, თუმცა წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვით მგზავრობის ღირებულება და სადღეღამისო ნორმა ანაზღაურებულია 22, ხოლო სასტუმრო 21 პირის მიხედვით. გამომდინარე იქედან, რომ არ არის წარმოდგენილი მგზავრობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ჩასხდომის ბარათი), არც სასტუმროს ინვოისები, გაურკვეველია თუ რატომ მოხდა ხარჯების ანაზღაურება უფრო მეტ პიროვნებაზე, ვიდრე ეს ბრძანებით იყო გათვალისწინებული. აღნიშნული მივლინების ფარგლებში დღეღამეში სასტუმროს დაქირავების ხარჯმა ერთ კაცზე შეადგინა 180 ევრო, მაშინ როდესაც მოქმედი კანონმდებლობით ავსტრიაში საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯების ანაზღაურების სადღეღამისო ნორმა შეადგენდა 89 ევროს. სულ სასტუმროს მომსახურებაზე გათვალისწინებული იყო 33,534 ლარის (14,580 ევრო), რაც ნორმით გათვალისწინებულ (7,209 ევრო) ოდენობაზე 16,953 ლარით მეტია.

4. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის 2013 წლის 20 ნოემბრის N13/13 ბრძანებით 2013 წლის 21 ნოემბრიდან 25 ნოემბრის ჩათვლით საორგანიზაციო კომიტეტის 8 თანამშრომელი, მათ შორის დირექტორი, დეპარტამენტების უფროსები და მთავარი ბუღალტერი (4 თანამშრომელი 4 დღით, ხოლო 4 თანამშრომელი 3 დღით) მივლინებულია ქ.რომში ევროპის ოლიმპიური კომიტეტის 42-ე გენერალურ ასამბლეაზე დასასწრებად. ხარჯთაღრიცხვის თანახმად სასტუმრო მომსახურებაზე გათვალისწინებულია 11,949.75 ლარი, თუმცა ბრძანებით არ ირკვევა თუ რამდენ დღეზე არის დაანგარიშებული

²⁵ არ არის მითითებული ქალაქი

აღნიშნული ხარჯი, ამასთან არ არის წარმოდგენილი სასტუმროს ინვოისი ან/და სხვა დამატებითი დოკუმენტაცია ფაქტობრივად გაწეული ხარჯების შესახებ. ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებულია მეგობრული ვახშმის ხარჯი 4,493.83 ლარის ოდენობით, თუმცა არც ბრძანებით ან სხვა რაიმე დოკუმენტით არ დგინდება ხარჯის გაწევის მიზნობრიობა და მომსახურების მიმღებ პირთა ვინაობა. ხარჯთაღრიცხვით ასევე გათვალისწინებულია სხვადასხვა ხარჯის გაწევა 2,854.35 ლარის ოდენობით. ბუღალტრული ბაზიდან და საბანკო ამონაწერიდან შესაძლებელია HOTEL CAVALIERI HILTON-ისთვის ანაზღაურებული 1,373 ლარის იდენტიფიცირება, რომელიც დაბეგრილია საშემოსავლო გადასახადით და აუდიტის ჯგუფის აზრით, აღნიშნული ხარჯი სწორედ ზემოთ ხსენებულ „სხვადასხვა სახის“ ხარჯის კატეგორიას განეკუთვნება, თუმცა შესაბამისი დოკუმენტაციის არქონის გამო ვერ დგინდება მისი გაწევის საფუძველი და მიზნობრიობა.

5. 2013 წლის 11 თებერვლის N07/13 ბრძანებით საორგანიზაციო კომიტეტის 3 თანამშრომელი 2013 წლის 16 თებერვალს მივლინებულია რუმინეთში, მათ შორის პროექტის მენეჯერი და სპორტული კოორდინატორი 7 დღით, ხოლო დირექტორი 4 დღით. მივლინების ბრძანება გამოცემულია პროექტის მენეჯერის მიერ, მაგრამ აღნიშნული უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ვერ იქნა მოძიებული. ბრძანება არ იყო დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით, არ იყო დაფიქსირებული ქალაქის სახელწოდება, მივლინების მიზანს წარმოადგენდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება, რომელიც ზოგადი ხასიათისაა და არ იკვეთება კონკრეტული მიზანი. მივლინების ფარგლებში ანაზღაურებულია სასტუმროში მინი-ბარსა და ლანჩზე გაწეული ხარჯი, ჯამურად 664 ლარის ოდენობით. ამასთან, წარმოდგენილია პროექტის მენეჯერის სახელზე 2013 წლის 16-17 აპრილს ამსტერდამში, Movenpick Hotel სასტუმრო ნომრის დაჯავშნის დოკუმენტაცია 189.2 ლარის ღირებულებით (84.5 ევრო) და შპს „ვია თრეველი“-ს ინვოისი ავიაბილეთის შეძენაზე ამსტერდამი-ბუქარესტი-ამსტერდამის მიმართულებით 821.3 ლარის ღირებულებით, რომლებიც მიკუთვნებულია მივლინების ხარჯზე. ჩვენ ვერ მივიღეთ მტკიცებულება რამდენად უკავშირდებოდა აღნიშნული ხარჯი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდება სპორტული კოორდინატორის გამგზავრება რუმინეთში, კერძოდ: შპს „ვია თრეველი“-ს ინვოისში მგზავრებად დაფიქსირებულია მხოლოდ დირექტორი და პროექტის მენეჯერი, დღიური ნორმა კი ანაზღაურებულია 3 პირის მიხედვით.

6. 2013 წლის 14 ივლისიდან 20 ივლისის ჩათვლით ქ.უტრეხტში მივლინებულია საორგანიზაციო კომიტეტის 10 თანამშრომელი, რომელზეც მივლინების ბრძანება ვერ იქნა წარმოდგენილი. EYOF UTRECHT 2013-ის მოწვევის წერილის მიხედვით, ორგანიზაციის თანამშრომლები მიწვეული იყვნენ ფესტივალის „სადამკვირვებლო პროგრამაზე“, რომლის ხანგრძლივობა შეადგენდა 2 დღეს, თუმცა მივლინების პერიოდმა შეადგინა 7 დღე, რომლის მიზანშეწონილობის თაობაზე აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო შესაფერისი მტკიცებულება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამაში მონაწილეობის საფასური გადახდილია 8 პირზე, ხოლო დანარჩენი 2 თანამშრომლის სამსახურებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე მივლინება ვერ იქნა დადასტურებული. ვერ იქნა წარმოდგენილი 1 თანამშრომლის მივლინებაში ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რადგანაც ავიაბილეთები შეძენილია 9 ადამიანზე. ხარჯთაღრიცხვის და ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემებით, სულ მივლინების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 41.0 ათასი ლარი. საორგანიზაციო კომიტეტის მიერ ანაზღაურებული იყო 4,179 ლარის ოდენობის ისეთი ხარჯები²⁶, რომლის ანაზღაურებას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

7. საორგანიზაციო კომიტეტის მიერ განხორციელებული შესყიდვები

საორგანიზაციო კომიტეტის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დოკუმენტაცია აუდიტის ჯგუფისთვის წარმოდგენილი იყო არასისტემატიზირებული და არათანმიმდევრული ფორმით, რაც არ უზრუნველყოფდა რწმუნებას მათი სისრულის თაობაზე. სახელმწიფო შესყიდვების შესწავლა ძირითადად განხორციელდა სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ ვებ გვერდის²⁷ მეშვეობით. შესაბამისად, შესყიდვებთან დაკავშირებული ისეთი დოკუმენტაცია, როგორიცაა მოთხოვნა შესყიდვის საჭიროებასთან დაკავშირებით, მოხსენებით ბარათ(ებ)ი, კორესპონდენციები, ნებართვა და სხვა მსგავსი დოკუმენტაცია გამონაკლისი შემთხვევების გარდა ვერ იქნა მოძიებული.

საორგანიზაციო კომიტეტის შესყიდვების სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელის²⁸ განმარტებით, სამსახურის ფუნქციები არ მოიცავდა შესყიდვების დაგეგმვას და წლიური გეგმის შედგენაში მონაწილეობას იღებდა მხოლოდ ტექნიკური თვალსაზრისით, ასევე არ იღებდა მონაწილეობას გამარტივებული შესყიდვის

²⁶ რესტორანში კვება-1,520 ლარი, შიდა გადაადგილება (ტაქსი, ავტობუსი და სხვა)-2,330 ლარი, ტელეფონი-109 ლარი, ჩემოდნის შეძენა-220 ლარი. მოწვევის წერილის თანახმად, პროგრამაში მონაწილეობის საფასური 195 ევრო, მოიცავდა ავტობუსით მომსახურებას სასტუმროდან პროგრამის განხორციელების ადგილამდე.

²⁷ procurement.gov.ge

²⁸ დავით დუმბაძე

საშუალებით შესყიდვის განხორციელებისას და მისი მოვალეობები შემოიფარგლებოდა მხოლოდ მოწოდებული დოკუმენტაციის ერთიან ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციით.

მთავრობის განკარგულების საშუალებით განხორციელებული გამარტივებული შესყიდვები

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N674 განკარგულებით, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით²⁹ საორგანიზაციო კომიტეტს დაერთო ნება ტანვარჯიშის დარბაზის და სასტუმრო კომპლექს „მოხალისე“-ს საპროექტო/სამშენებლო სამუშაოების, ასევე სასტუმრო კომპლექსის და სპორტული მოედნების/არენების საჭირო აღჭურვილობისა და ოლიმპიური ფესტივალის რეკლამირებასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესყიდვა განხორციელებინა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2014 წლის 29 დეკემბერს საქართველოს მთავრობის N2534 განკარგულებით საორგანიზაციო კომიტეტს დაერთო ნება ნებისმიერი საჭირო საქონლის, სამუშაოსა და მომსახურების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეძენაზე.

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული საშუალებით განხორციელებისთვის ნებართვის მიღების მოთხოვნით ქ. თბილისის მერიისთვის მიმართული აქვს 2013 წლის 29 ოქტომბერს³⁰, ანუ ფესტივალის გახნამდე 21 თვით ადრე. წერილში საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე გადაუდებელი აუცილებლობის მიზეზად ასახელებდა იმ ვალდებულებას, რომელიც სახელმწიფოს აღებული ჰქონდა ევროპის ოლიმპიური კომიტეტის წინაშე 2011 წლის 7 მარტს. წერილში აღნიშნული იყო, რომ ჩასატარებელ ოლიმპიურ ფესტივალთან დაკავშირებით საჭირო გახლდათ სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

შესყიდვების დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი და შესაფერისი რწმუნება გადაუდებელი აუცილობლების არსებობასთან და სამუშაოების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების საჭიროებასთან დაკავშირებით, კერძოდ:


- მთავრობის განკარგულება გამოცემულია სამუშაოების შეზღუდულ ვადებში შესრულების მიზნით, მაშინ როდესაც განკარგულების ფარგლებში სამშენებლო

²⁹ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე;

³⁰ N130 წერილით;

სამუშაოების და სხვა სახის საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე ხელშეკრულებები გაფორმებულია მნიშვნელოვანი დაგვიანებებით, როგორც 2-3 თვიანი, ასევე 11-12 თვიანი ინტერვალის შემდეგაც.

- საორგანიზაციო კომიტეტისთვის შესასრულებელი სამუშაოების (მათ შორის ინფრასტრუქტურული პროექტების) მასშტაბი ცნობილი იყო 2011 წელს. შესაბამისად, დროული დაგეგმვის პირობებში აუდიტის ჯგუფის აზრით, შესაძლებელი იქნებოდა შესყიდვების კანონით დადგენილი პროცედურების დაცვით, კონკურენციის პირობებში ვალდებულებების შესრულების განხორციელება.
- გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე ნებართვის მიღების შემდეგ, სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე ელექტრონული და გამარტივებული ელექტრონული ტენდერი აღარ გამოცხადებულა. 2013 – 2015 წწ გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა შესყიდვის საშუალებების მიხედვით ასახულია ქვემოთ მოყვანილი დიაგრამაში:



სულ სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებულია 4 ტენდერი³¹. სამი მა გამოცხადებულია 2013 წლის 25 დეკემბერს. ელექტრონული ვაჭრობის³² შედეგად

³¹ მანამდე სანამ გამოიცემოდა მთავრობის განკარგულება გამარტივებული შესყიდვით ნებართვის მიღებაზე

³² მიუხედავად იმისა, რომ სამივე შემთხვევაში წინადადებების მიღების დაწყების და წინადადებების დასრულების თარიღები იდენტური გახლდათ, კონკურენცია სოლიდური იყო.

სავარაუდო ღირებულებასთან მიმართებაში ფასი საშუალოდ 28%-ითაა დაკლებული, ხოლო ეკონომიამ 3,0 მლნ ლარი შეადგინა:

1. (SPA130028835) ქ. თბილისში, წერეთლის გამზ. N95-ში მდებარე საკალათურთო სკოლის რეკონსტრუქცია-კაპიტალური შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობას იღებდა 12 პრეტენდენტი, სავარაუდო ღირებულებად განსაზღვრული იყო 4 303.3 ათასი ლარი. 2014 წლის 4 თებერვალს უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტთან გაფორმებულია ხელშეკრულება 2 902.5 ათას ლარზე, ეკონომიამ 1 400.7 ათასი ლარი, ანუ 33% შეადგინა;
2. (SPA130028831) მ.კეკელიძის სახელობის საკალათურთო სკოლის რეკონსტრუქცია-კაპიტალური შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე, გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობას იღებდა 10 პრეტენდენტი, სავარაუდო ღირებულებად განსაზღვრული იყო 3 097.5 ათასი ლარი. 2014 წლის 4 თებერვალს უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტთან გაფორმებულია ხელშეკრულება 2 159.0 ათას ლარზე. ეკონომიამ 938.5 ათასი ლარი, ანუ 30.3% -შეადგინა;
3. (SPA130028837) ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქ. N5-ში მდებარე შოთა ჩოჩიშვილის სახელობის მიუდოს აკადემიის რეკონსტრუქცია-კაპიტალური შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობას იღებდა 8 პრეტენდენტი, სავარაუდო ღირებულებად განსაზღვრული იყო 3 013.9 ათასი ლარი. 2014 წლის 2 თებერვალს უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტთან ხელშეკრულება გაფორმებულია 2 348.9 ათას ლარზე. ეკონომიამ 664.9 ათასი ლარი, ანუ 22% შეადგინა;

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით საორგანიზაციო კომიტეტის მიერ სულ შესყიდულია 26 მილიონი ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაოები .

მიმწოდებლების შერჩევა გამარტივებული შესყიდვის დროს

საორგანიზაციო კომიტეტის მიერ შესყიდვების უდიდესი ნაწილი გამარტივებული შესყიდვების საშუალებით არაკონკურენტუნარიან გარემოშია განხორციელებული, რაც პრეტენდენტთა შერჩევის თანდაყოლილი რისკის მატარებელ გარემოებას წარმოადგენს. აღსანიშნავია ისიც, რომ აუდიტის ჯგუფის მიერ ვერ იქნა მოძიებული პრეტენდენტთა შერჩევასთან დაკავშირებული ისეთი

დამატებითი დოკუმენტაცია, როგორცაა: მოხსენებითი-ბარათები, ბაზრის კვლევის დოკუმენტაცია, ფასთა გამოკითხვის დოკუმენტაცია და სხვა.

აუდიტით დადგინდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ხელშეკრულებები გაფორმებული იყო ახალ დარეგისტრირებულ და გამოცდილების არმქონე კომპანიებთან. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ადგილი ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტს და ხელშეკრულებების ურთიერთდაკავშირებული მხარეებთან გაფორმების შემთხვევებს, კერძოდ:

- 2014 წლის 7 ივლისს ქ.თბილისში დიდმის საცდელ ტერიტორიაზე სასტუმრო „მოხალისე“-ს 6,404.9 ათასი ლარის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე გაფორმებულია ხელშეკრულება შპ „ვილა არტთან“. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების გაფორმებამდე და არც მის შემდეგ, შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე კომპანიის მონაწილეობა ტენდერებში არ ფიქსირდება.

მეწარმეთა და არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიულ პირთა რეესტრის ამონაწერით ირკვევა, რომ შპს „ვილა არტი“ რეგისტრირებულია 2006 წლის 24 მაისს. 2011 წლის 27 დეკემბრამდე აღნიშნული კომპანიის თავდაპირველი მესაკუთრეები/მფლობელები³³ შრომითი ხელშეკრულებების საფუძველზე დასაქმებული³⁴ იყვნენ საორგანიზაციო კომიტეტში 2015 წლის განმავლობაში. 2011 წლის 27 დეკემბრიდან შპს „ვილა არტი“-ს დირექტორი და 100% წილის მფლობელი³⁵ საორგანიზაციო კომიტეტის საფინანსო დეპარტამენტის შესყიდვების მენეჯერის თანამდებობიდან გათავისუფლებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებამდე 6 დღით ადრე.

2014-2015 წლებში საორგანიზაციო კომიტეტსა და შპს „ვილა არტს“ შორის გაფორმებულია 7 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით 8,123.2 ათას ლარი.

- საორგანიზაციო კომიტეტის მიერ 2015 წლის 6 აპრილს 597.8 ათასი ლარის ღირებულების მძლეოსნობის დარბაზის ვენტილაციისა და კონდიციონერების სისტემის სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვაზე ხელშეკრულება გაფორმებულია შპს „ჯი-ემ-სი“-სთან, რომელიც დაფუძნებული იყო ხელშეკრულების გაფორმებამდე ორი კვირით ადრე³⁶.

გარდა ამისა, ადგილი ჰქონდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის³⁷ მოთხოვნათა დაუცველად ხელშეკრულებების გაფორმებას საორგანიზაციო

³³ ნუგზარ წულუკიძე (60% წილი), მიხეილ წულუკიძე (40%).

³⁴ ნუგზარ წულუკიძე (01.01.15-30.07.15) და მიხეილ წულუკიძე (01.06.15-30.07.15)

³⁵ რამაზ ჯაშიაშვილი, 2013 წლის 16 სექტემბრიდან 2014 წლის 1 ივლისის ჩათვლით.

³⁶ დაფუძნდა 2015 წლის 24 მარტს:

³⁷ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნები;

კომიტეტის თანამშრომლებთან, რომლებიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის³⁸ თანახმად წარმოადგენდნენ ურთიერთდამოკიდებულ პირებს, ასე მაგალითად:

- 2014 წლის 7 თებერვალს ფ/პ დავით გერსამიასთან, რომელიც ამავე დროს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული იყო საორგანიზაციო კომიტეტში, გაფორმებულია ხელშეკრულება საიჯარო მომსახურების გაწევაზე ღირებულებით 23.7 ათას აშშ დოლარი.
- 2015 წლის 1 იანვარს გაფორმებულია ხელშეკრულება ფ/პ ოთარ თედორაძესთან ელექტროდანადგრების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის მიზნით, ღირებულებით 2.6 ათასი ლარი. აღნიშნული პიროვნება იკავებდა უსაფრთხოების დეპარტამენტის ინფორმაციული და ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობას.

სამშენებლო სამუშაოების შესრულების და ანგარიშსწორების მდგომარეობა

სამშენებლო სამუშაოების შესყიდვისას შუალედური ანგარიშსწორება, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, წარმოებდა მხოლოდ ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე ხელშეკრულებით მოთხოვნილი შუალედური ფორმა N2-ისა და მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის გარეშე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია შემთხვევა, როდესაც შპს „ვილა არტთან“ განხორციელებულია 6,404.9 ათასი ლარის ანგარიშსწორება, ისე რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული არც შუალედური, არც საბოლოო ანგარიშსწორების აქტი და არც ექსპეტიზის დასკვნა არ ყოფილა წარმოდგენილი.

სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული წესით შესყიდვისას საორგანიზაციო კომიტეტის მიერ მიმწოდებლებთან ანგარიშსწორების უზრუნველსაყოფად მოითხოვებოდა ფორმა N2-ის საექსპერტო დასკვნა/დასკვნები, თუმცა ხელშეკრულებ(ებ)ით არ იყო დაკონკრეტებული ექსპერტის წინაშე დასასმელი საკითხი, რის გამოც შემსრულებელი კომპანიების მიერ ექსპერტიზა ინიშნებოდა მხოლოდ ფორმა N2-ში და ხარჯთაღრიცხვაში მოცემული სამუშაოთა ერთეული ღირებულებების იდენტურობის დადგენის მიზნით და არა ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით, როგორც ეს მოთხოვნილია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით³⁹, ასე მაგალითად:

³⁸ მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი;

³⁹ 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას, ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ მე-3 პუნქტი „შესრულებული სამუშაოების

- 2015 წლის 5 იანვარს და 16 მარტს ტანვარჯიშის დარბაზის შიდა შევსებისა და მოპირკეთების და ტანვარჯიშის დარბაზის შენობის დასრულებისა და შენობის მოწყობის სამუშაოების განხორციელებაზე საორგანიზაციო კომიტეტსა და შპს „აისი“-ს შორის გაფორმებულია ორი ხელშეკრულება⁴⁰ შესაბამისად 1.173.2 და 5716.1 ათას ლარზე. საბოლოო ანგარიშსწორების განსახორციელებლად შპს „აისი“-ს მიერ წარმოდგენილია გაერთიანებული ექსპერტიზის დასკვნა⁴¹ 6 876.6 ათას ლარზე, სადაც ექსპერტი აღნიშნავს, რომ გამარტივებული შესყიდვის დროს, შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით, რაც მისივე განმარტებით დამკვეთის მიერ არ ყოფილა მოთხოვნილი და რომ ექსპერტიზა ჩატარებულია მხოლოდ წარმოდგენილი ფორმა N2-ში და ხარჯთაღრიცხვაში მოცემული სამუშაოთა ერთეული ღირებულებების იდენტურობის დადგენის მიზნით.
- შპს „გუმბათი ჯგუფთან“ თბილისში დიღმის სასწავლო საცდელ ტერიტორიაზე ტანვარჯიშის დარბაზის 9,099.9 ათას ლარის ღირებულების სამშენებლო სამუშაოების შესრულებაზე 2014 წლის 1 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების⁴² (CMR 150031692) თანახმად, ანგარიშსწორება შემსრულებელთან უნდა განხორციელებულიყო მიღება-ჩაბარების აქტების შესაბამისად. აუდიტის ჯგუფის მიერ ვერ იქნა მოძიებული მიღება-ჩაბარების აქტები. მიუხედავად ამისა, კონტრაქტორთან 2014 წლის 23 ივლისიდან 2015 წლის 29 აპრილის ჩათვლით განხორციელებულია 19 ტრანზაქცია ჯამურად 8 877.1 ათასი ლარის ოდენობით.

მონეტარული ზღვრების დარღვევით გაფორმებული გამარტივებული შესყიდვები

ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა კანონით დადგენილი მონეტარულ ზღვრების დაუცველად ხელშეკრულებების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით გაფორმების⁴³ შემთხვევებს, ასე მაგალითად:

- 2014 წლის 25 მარტს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (CMR 140107106) შპს „იბერია ავტო“-სგან შეძენილია ერთი ერთეული ა/მ Volkswagen Amarok 60.0 ათას ლარად.

ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეულის ფასების ფარგლებში, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით;

⁴⁰ 010515/3 და N160315/1 ხელშეკრულებები;

⁴¹ სსიპ „ლეკან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ N5005724515 (06.11.2015წ) დასკვნა;

⁴² რკინა-ბეტონის კონსტრუქციის მშენებლობა, გადახურვისა და სხვა სამუშაოები.

⁴³ შედეგად არ არის დაცული „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის მოთხოვნა;

- 2013 წლის 5 სექტემბერს შპს „ზებრა“-სგან (CMR140118715) შეძენილია 75.8 ათას ლარის ღირებულების ღონისძიების ორგანიზების მომსახურება;
- 2014 წლის 6 თებერვალს შპს „იმპორტსერვის გრუპი“-სგან (CMR 140118806) 16.4 ათას ლარად შეძენილია 2 ერთეული ასაწყობი კონტეინერი.

2014 წლის 13 თებერვალს საორგანიზაციო კომიტეტს ხელშეკრულება გაფორმებული აქვს (CMR 140173815) შპს „სტუდია არსი“-სთან ღირებულებით 40.0 ათას ლარზე, გენერალური გეგმის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო მომსახურების შესყიდვაზე. გამარტივებული შეყიდვის საფუძველად მითითებულია საქართველოს მთავრობის განკარგულება⁴⁴, რომელიც გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე უფლებას ანიჭებს არა საორგანიზაციო კომიტეტს, არამედ სხვა სახელმწიფოს წილობრივი თანამონაწილეობით შექმნილ საწარმოს.

ხელშეკრულების შესრულების გარანტიისა და დაზღვევის მოთხოვნების უგულებელყოფა

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 3¹ პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ან დაზღვევის მოთხოვნა სავალდებულოა, თუ ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ან აღემატება 200.0 ათას ლარს. საორგანიზაციო კომიტეტის მიერ რიგ შემთხვევებში არ ხდებოდა ხსენებული მოთხოვნის დაცვა, ასე მაგალითად:

- (CMR140118577) 2014 წლის 1 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულება შპს „ჯენერალ ბიზნესი“-სთან სასტუმრო კომპლექს „მოხალისე“-ს სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე, ღირებულებით 214.2 ათას ლარზე.
- (CMR140118577) 2013 წლის 30 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულება შპს „აკადემპროექტი“-სთან მძლეოსნობის არენის მშენებლობისათვის არქიტექტურული, კონსტრუქციული და საინჟინრო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე, სახელშეკრულებო ღირებულებით 217.9 ათას ლარზე.

⁴⁴ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 30 დეკემბრის N2197 განკარგულება, შპს „სპორტმშენსერვისი“.

მოქმედ ნორმატიულ აქტებთან გამოვლენილი შეუსაბამობები

აუდირებულ პერიოდში ადგილი ჰქონდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებით დაგეგმილ რეგულაციებთან შეუსაბამობის ფაქტებს, კერძოდ:

- „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანების⁴⁵ თანახმად, დადებული ხელშეკრულების ან ამ ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილების ამსახველი დოკუმენტები რეგისტრირდება CMR-ში ხელშეკრულების დადებიდან ან ამ ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელებიდან 10 დღის ვადაში. საორგანიზაციო კომიტეტის მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის განთავსება ხდებოდა რამოდენიმე თვის და რიგ შემთხვევებში წელიწადზე მეტი ხნის დაგვიანებებითაც კი.
- შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ ვებ-გვერდზე 57 ხელშეკრულებას გააჩნია „მიმდინარე ხელშეკრულების“ სტატუსი, რითაც დარღვეულია „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ“ შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მოთხოვნები⁴⁶;
- სალიკვიდაციო კომისიის მიერ განხორციელებული დებიტორ-კრედიტორული დავალიანებების დაზუსტების შედეგად გამოვლენილია 2014-2015 წლებში დადებული ისეთი ხელშეკრულებები⁴⁷, რომლებიც საორგანიზაციო კომიტეტის მიერ საერთოდ არ იყო წარმოდგენილი ერთიანი ელექტრონული სისტემის CMR მოდულში;
- (CMR160119460), (CMR160119454) და სხვა ხელშეკრულებებში არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულების მოქმედების კონკრეტული ვადები, ასევე ხშირ შემთხვევებში არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულების ღირებულებები, არ არის დაცული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ“ შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მოთხოვნები⁴⁸;

⁴⁵ მე-5 მუხლის პირველი პუნქტი;

⁴⁶ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „შ“ და „შ“ ქვეპუნქტები;

⁴⁷ შპს „სუპერთან“ (ს/კ 205050905), შპს „ჯგზს 2008“ (ს/კ 204557176);

⁴⁸ მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტები;

- (CMR160119460) 2014 წლის 17 დეკემბერს გაფორმებულია N17.12.14 ხელშეკრულება შპს „ექსიმ პარკთან“, რომელიც ხსენებული დროისთვის იმყოფებოდა შესყიდვების სააგენტოს შავ სიაში, შესაბამისად შემსყიდველის მიერ არ იქნა გათავალისწინებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ“ შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მოთხოვნები⁴⁹;

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის ამსახველ თავში მოყვანილი მასშტაბის შეზღუდვის გარემოებებიდან გამომდინარე, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, რაც მოგვცემდა საფუძველს აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად თუ რამდენად შესაბამისობაშია საორგანიზაციო კომიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

უფროსი აუდიტორი

აუდიტორი

აუდიტორი

აუდიტორ-ასისტენტი

აუდიტორ-ასისტენტი

აუდიტორ-ასისტენტი

მერაბ ზაიცევი

ბორის მჭედლიშვილი

ვახტანგ პერტაია

ნიკოლოზ ლულათავა

სპარტაკ გიგიბერია

ალეკო იობიძე

⁴⁹ მე-24 მუხლის მე-5 პუნქტი;